№ 2
სამშაბათი, 5 იანვარი 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 2
სამშაბათი, 5 იანვარი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მე 4 თხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 იანვარს,

ბენეფისი კ. დ. ყიფიანისა

ქართულის დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## მეფე ლირი

ტრაგ. 5 მოქმ. თხზ. შექსპირისა, თარგმ. თავ. ი. მაჩაბლისა და თავ. ი. ჭავჭავაძისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ა. მესხ.

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—18)

ოთხშაბათს, 6 იანვარს 1899 წელს, ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართული იქნება

## ბალი

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთების ფასი 2 მან. 10 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (5—5)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ)


## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა დრაგუნთა მე-54 ნოვომირგოროდის რაზმის კორნეტი თავადი მხეიძე—ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მინდობილების ობერ-აფიცრად; ლევან იაკობის ძე მღებრიშვილი—ქალაქ ტფილისის ნოტარიუსად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან ავადმყოფობისა გამო მილიციის პორუჩიკი თავ. მელქისედეკ მიქელაძე.

## ახალი ამბავი

*** გუშინ ტფილისის გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს სიღნაღის მაზრის ქვემო-მაჩხაანის კერძო სასოფლო ქსენონის ინსტრუქცია დასამტკიცებლად. ეს ქსენონი დაარსებულია სოფ. ქვემო-მაჩხაანის საზოგადოების მიერ თავისის ხარჯით ავადმყოფებს იქიდგან უსასყიდლოდ მიეცემა წამალი. ეს მთელს საქართველოში პირველი სასოფლო ქსენონია, რომელიც სასოფლო ხარჯით არის დაარსებული.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ გვარ კერძო სამკურნალოს დაარსება განუზრახავს აგრეთვე გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის სოფლის საზოგადოებასაც.

*** მცხეთის ტაძრის განსაახლებლად დაარსებულმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: კნ. ე. ნ. მუხრან-ბატონისაგან—150 მანეთი, იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილისაგან—24 მან., ტფილისის კადეტთა კორპუსის მთავრის კონსტანტინე სუხიევისაგან—20 მან., ნიკ. ლებედევისაგან—5 მან., სხვა და სხვა კაცებისაგან—25 მან. სულ 224 მანეთი.

*** გუშინ საგუბერნიო მმართველობის და ქალაქის გამგეობის ტეხნიკოსებმა პოლიციის მოხელეებთან ერთად დაათვალიერეს მართლმადიდებელთა იორდანე, რომელიც მადათოვის კუნძულის ნაპირზეა აგებული. დღეს ეს კომისია დაათვალიერებს სომეხთა იორდანეს.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება მოხდება მომავალს ორშაბათს, 11 იანვარს.

*** 2 იანვარს ტფილისის ქალაქის გამგეობის ახლად დამტკიცებულმა წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა ფიცი მიიღო და თავისის თანამდებობის შესრულებას შეუდგა. თავ. ჩერქეზიშვილს მიენდო ქალაქის გამგეობის აღმაშენებელ განყოფილების საქმეთა გამგეობა.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 2000 მანეთი იქმნა გადადებული სოლოლაკის მხრიდგან საბოტანიკო ბაღამდე საეტლო გზის გასაყვანად. რადგან ეს 2000 მანეთი არ ეყო, მთავარ-მართებლის განკარგულებით გადადებულ იქმნა 1000 მანეთი კიდევ.

## ფელეტონი

### კოლიზეის ნანგრევებზედ

ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლიდგან“

გალობა მეოთხე

CXXX

ოხ, დროვო! შენ სდებ ფასს ძველსა ნაშთებს,
მათ შენის სრბოლის ატყვიათ კვალი,
ასწორებ ჩვენის ჭკუის შეცდომებს,
შენ ხარ ტანჯულის გულის მკურნალი.
შენ, მხოლოდ შენ სდებ მსჯავრს შეუცდომელს
ცრუ მეგობრობას და ცრუ სიყვარულს;
შენ, მთელის ქვეყნის შურის-მძიებელს,
აწ მსხვერპლად ვწირავ ჩემს სულსა და გულს
ბ მუხლმოდრეკით მეც გვედრი, დრო-
ერთის საჩუქრით დამაჯილდოვო. [ვო,

CXXXI

ნანგრევთ შორის, საც გიდგას ტაძარი,
საც შენნი მსხვერპლნი გიკმევენ გუნდრუკს,
მოვსულვარ მეცა, ვდგევარ მდუმარი,
მსხვერპლის შეწირვა მეც მსურს უბადრუკს.
მსხვერპლადა გწირავ ნაშთსა-ნანგრევებს
ჩემის სიცოცხლის ალკვილ წლებისას...
ნუ, ნუ მკითხავ, თუ ჩემს მოსისხლე მტრებს
არ ვუწვდიდი ხელს შერიგებისას.
თუ-კი მე ვზიდე წამების ჯვარი,
განა მათ ტანჯვის დრო-კი არ არი?!.

CXXXII

და შენ მთრგუნავო ბოწ-ბოროტისავ
ძველად ქებულო, ოხ, ნემეზიდა!
შენ გამკითხავო ცოდო-მადლისავ,
ვის წინ ქვეყანაც თავსა იხრიდა;
შენ, ვინც მოიხმე ავნე სულები
ორესტის ჯავრის ამოსაყრელად,—
შენ გევედრები, გემუდარები,
აღსდექი მკვდრეთით ჩემად მფარველად.
აღსდგები კიდეც, მტკიცედა მჯერა,
შენ გესმის ჩემის გულისა ძგერა.

CXXXIII

დაე მეკითხოს ჩემი ცოდვები,
მახვილმა გული დამიიაროს,
ოღონდ ვიცოდე რად ვიტანჯები,
ოღონდ მართალმა ხელმა გამგმიროს.
მაგრამ აწ მიწა აღარ შეისვავს
უსამართლოდა დაღვრილ სისხლის ცვარს;
მე სისხლი შენთვის შემომიწირავს,
ჩემს მაგივრად შენ ამოიყრი ჯავრს,
მე თუნდ მეძინოს ტკბილის ძილითა,
შენ გასცემ პასუხს ბასრ მახვილითა.

CXXXIV

თუ აწ ხმა ჩემი უეცრად განხდა,
შიშით როდია გამოწვეული;
ჩემს სიცოცხლეში რა არ გადმხდა,
მაგრამ ვინ მნახა შეშინებული?
მე მინდა მხოლოდ ჩემი სახელი
ამ სტრიქონებში დარჩეს უკვდავად;
შთამომავლობა პირ-უთნეველი
ჩემს დრტვინვას იცნობს სამართლია-
ჩემ ლექსთა აზრი როს აიხსნება, [ნად.
ვით მეხი ცისა ყველგან განხდება.

CXXXV

ცა და ქვეყანავ! თქვენა სთქვით, თქვენა;
ხალხს ცოტა რამე უნდა შევუნდო?
ცოტაჯერ მახსოვს გულისა ტკენა,
რომ ხმა ეხლაცა არ გავიკმინდო?
არ დავიდუმე განა მე ენა?
არ დავიმწე განა მე გული?
და თუ მაინც არ დავკარგე რწმენა
და ვარ იმედით აღფრთოვნებული,—
მისთვის რომ არ ვარ მეც სხვებრ შექმნილი
უბრალო თიხისგან შეთითხნილი.

CXXXVI

და განა ცოტა დანაშაული
კაცთნათესავო მიკიძლვის შენა?
რამდენჯერ ცილით მომიკალ გული,
რამდენი მახსოვს მე შენგან წყენა?
იგი ცილი კაცს გველივით ჰშხამავს,
მას, ვით იანუსს, აქვს ორი პირი:
ცბიერ ღიმილით სუყველას ჰხიბლავს,
ლხინია მისთვის მოძმისა ჭირი.
ვაი იმასა, ვინც მას აჰყვება
და მის ქსელებში გაცაებმება!

CXXXVII

მე არ ვატარე ფუჭად ცხოვრება,
არა ვყოფილვარ ხალხის მტერადა.
იქნებ დასუსტდეს ჩემი გონება,
იქნება კიდეც ვიქცე მტვერადა;
მაგრამ მას, რითაც სძგერს ჩემი გული,
ვერც დრო, ვერც ტანჯვა ვერას დააკლებს,
ვით მგოსნის ჰანგი დავიწყებული,
იგი ხალხს ბევრჯერ სულს შეუშფოთებს,
მოალბობს იმისს გულს გაქვავებულს
და აგრძნობინებს ჰმუნვას, სინანულს.

CXXXVIII

მორჩა. გათავდა. მოგესალმები,
ღმერთავ უსაზღვროვ და უსახელო!
შენით ჰფასობენ ეს ადგილები,
შენ აქ გაქვს სახლი და სამფლობელო
ამა კედლებსა ხავს მოკიდებულს,
რომელთა შორის ღამე რონინებ;
ამ ნაშთ-ნანგრევებს, წყვდიადით მოცულს,
შენ აცხოველებ, თვალწინ გვიყენებ,
თითქოს ვხედავდეთ ჩვენც იმ საქმეთა,
რაც აქ უნახავთ საუკუნეთა.

CXXXVIII

დიაღ, ერთს დროსა აქ გაისმოდა
ხალხის ჩურჩული, სიცილ-ხარხარი,
აქ ძმის საკლავად ძმა მოდიოდა,
მით ერთობოდა თვით კეისარი.
ყველგან სდიოდა სისხლისა ღვარი,
არვინ ჰფიქრობდა მოკლულთ ცოლშვილზედ;
მერე რა? ორივე ერთი არ არი
აქ სიკვდილი, თუ ბრძოლისა ველზედ?
აქაც და იქაც მატლი გამოგვხრავს
და შავი მიწა თვალს დაგვიხუჭავს.

CXL

აი, დაეცა გლადიატორი...
მისი დანახვა ვის არ შეჰზარავს!
ჭრილობიდგან სდის სისხლისა თქორი,
თვალთ უბნელდება, ველარას ჰხედავს.
იგი უშიშრად დაუხვდა სიკვდილს,
მან ერთხელაც-კი არ დაიკვნესა;
არავინა ჰგრძნობს მის გულის ტკივილს,
ცირკის კანონმა არ იცის ესა.
გულ-ქვა ხალხი-კი ამ დროს ჰგრგვინავდა
და გამარჯვებულს ტაშსა უკრავდა.

CXLI

იგი კვდებოდა, ჰხუჭავდა თვალებს,
ხალხის ყიჟინას ყურს არ უგდებდა;
მხოლოდ დუნაის ტურფა ნაპირებს
გულის საკლავად აწ იგონებდა.
იქ გაუღიმა პირველად ცამა,
იქ მის შვილები დარბიან ველად,
მათ გვერდთ ჰყავთ დედაც... საღაა მამა?
მოიკლა რომის გასართობელად!
ოხ, გოტფნო! განა აწ დრო არ არი,
რომ შური უგოთ, დასცეთ თავს ზარი?

ი. ბაქრაძე

*** აზრადა აქვთ გააფართოვონ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი და მასთან არსებული სახელოსნო. ამის შესახებ პროექტი ამ ახლო მომავალში გზათა სამინისტროს წარედგინება დასამტკიცებლად.

*** ეგზამენები ტფილისის საბებიო ინსტიტუტში უკვე დასრულდა. სწავლა ოთხმა ქალმა დაამთავრა.

*** ღოღობერიძემ და სხვათა, რომელთაც შტაბს-კაპიტანის ვორონკოვის მოკვლა ჰბრალდებათ, სამხედრო სასამართლოს განაჩენზედ საკასაციო საჩივარი გადაიტანეს.

*** რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას აზრადა აქვს გამართოს ამ წელს ბაღოსნობის საჯარო ლექციები. პირველ ლექციებს წაიკითხავს ა. ე. კლაუსენი.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა გადასცა, სისხლის სამართლის წესდების მე-277 მუხლის თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გასაუქმებლად საქმე კერძო ვექილის კონსტ. რაფაელის ძის პლიუშჩევსკისა, რომელიც თავ. კონსტ. მუხრან-ბატონს ედავებოდა 99 ათას მანეთს.

*** საქმე მიხეილ შიოევისა, რომელსაც ტფილისის ოლქის სასამართლომ ამ 20 წლის წინად მომხდარ მკვლელობისათვის მიუსაჯა 8 წლით კატორგაში გაგზავნა, განირჩევა პალატაში 18 იანვარს. ბრალდებულს პალატაში დაიცავს პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი ბ-ნი კარაბჩევსკი.

*** 3 იანვარს, ღამე, მეტად გაბედული ავაზაკობა განეზრახათ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებლს სარქის რევაზის ძე ტერ-სტეფანოვსა და ერთ სხვას, რომლის ვინაობა ჯერჯერობით არ გამოურკვევიათ. ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა 2 განყოფილებაში წარმოობს საქმე ზემოხსენებულის ტერ-სტეფანოვისა, რომელსაც ჰბრალდება საბუთის ქაღალდის მოპარვა და ყალბი ქაღალდის შედგენა სხვის სახელით. ეჭვ გარეშეა, მას უნდოდა ამ საქმის ხელში ჩაგდება და ამიტომ იმასა და იმის ამხანაგს კიბე მიუტანიათ ოლქის სასამართლოს შენობის მეორე სართულის ერთ ერთ ფანჯარასთან, რომელიც წინა-დღით თითონ ავაზაკთ ჩაუკეტავი დაეტოვებინათ, ასულიყვნენ იმ კიბით ფანჯარაში, გადასულიყვნენ შენობაში და მერე შესულიყვნენ ხსენებულ განყოფილებაში. მაგრამ ამ დროს დარაჯს ხმაურობა შემოესმა და დაუძახნია, ვინა ხართო. ავაზაკები თურმე აპირებდნენ მასზე დაცემას, მაგრამ დარაჯს დაუყვირია და თავის ამხანაგებისათვის შეუტყობინებია; ბოროტ-გამზრახველთ მაინც მოუსწვრიათ გაქცევა და კიბით ეზოში ჩასვლა, მაგრამ იქ ყვირილზედ მოსული პოლიციელი დაჰხვედრიათ და ერთი მათგანი სახელდობრ—ტერ-სტეფანოვი შეუპყრია. მეორე-კი გაქცეულა. ტერ-სტეფანოვმა რუსული წერა-კითხვა იცის.

*** როგორც "კავკასი" იუწყება, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს ა. ა. ფრეზეს ტფილისში 16 იანვარს მოელოდებიან.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთებს ტფილისიდგან დეპეშით ატყობინებენ, კავკასიის მთავარ-მართებელს უკვე წარედგინა ტფილისის ვიცე გუბერნატორის მიერ მოხდენილ ქალაქის თვით-მართველობის რევიზიის ანგარიში.

*** ამავე გაზეთის სიტყვით კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საბაღოსნო საზოგადოების ერთმა წევრმა განცხადება შეიტანა საზოგადოების საბჭოში, რომელშიაც სთხოვს საზოგადოებას იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ წარსულ გაზაფხულზე მომხდარ უთანხმოების დროს საბაღოსნო სკოლიდგან გამორიცხული 10 მოწაფე მიღებულ იქმნას პრაქტიკანტებად საქარის სანერგესთან არსებულ კურსებზედ.

*** გაზ. ,,Кур''-ი სწერს, რომ ერობის შემოღება კავკასიაში, რომელიც წელს იყო განზრახული, გადადებულ იქმნა შემდეგის დროისთვისაო.

*** გაზ. ,,კავკას"-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: ებოძათ ორდენები: წმ. ანნა მე-2 ხარისხისა—ქუთაისის გუბერნიის გლეხის საქმეთა საკრებულოს წევრ-საქმის მწარმოებელს თავ. მელიქიშვილს; წმ. სტანისლავი პირველ ხარისხისა კავკავის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს ჰეჟინაძეს; წმ. სტანისლავა მე-3 ხარისხისა—ზუგდიდის მაზრის მკურნალს ფანიევს; წმ. ვლადიმერ მე 3 ხარისხისა—ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსს ნოტარიუს გამრეკელოვს; წმ. ვლადიმერი მე-4 ხარისხისა: ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა სინოდის პროკურორს კანჩელის, სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორს თვალჭრელიძეს; წმ. ანნა მე-3 ხარისხის: შემახიის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს მამალაძეს, ტფილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიის მასწავლებელს დვარიშვილს, ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემენარიის მასწავლებელს გარაყანიძეს, კავკავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს გვარამაძეს; ცხინვალის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებელს ხიმშიაშვილს, ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ბურჭულაძეს და ბაქოს სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ჩიკვაიძეს.

*** ოზურგეთი. 29 დეკემბერს ქ-ნ ვისია თავდგირიძის მეცადინეობით წარმოადგინეს აქ ცაგარლის 4 მოქ. პიესა „ციმბირელი“ და 1 მოქმედებიანი ვოდევილი „ახირებული დედა“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. მშვენივრად შეასრულა თავისი როლი მარო ლაზარენკოს ასულმა, რომელიც ამ დღეს პირველად თამაშობდა ქართულ სცენაზედ. პატივისცემის ნიშნად საზოგადოებამ მიართვა მას გვირგვინი და თაიგულები.

*** მთიულეთი. მთელს მთიულეთში არ არის ისეთი სოფელი, რომ რაიმე მოარული ავადმყოფობა არ იყოს; ზოგან ყვავილია, ზოგან ყივანა-ხველა და სხ. რამდენიმე დღის წინად სოფ. ამირთკარში ორი ახალგაზდა კაცი მოჰკლა ყვავილმა; არახვეთში ყივანა-ხველას უმსხვერპლნია რამდენიმე ბავშვი. ოჯახი არ არის ისეთი, ვინმე ავადმყოფი რომ არ იწვეს. ორი ათას კომლზედ მეტი მცხოვრებია ჩვენს სოფლებში, მაგრამ ერთი ფერშალიც-კი არა გვყავს. მაზრის ექიმი სცხოვრებს დუშეთში, მაგრამ ჩვენ ხალხს ვინ მისცა იმდენი შეძლება, რომ დუშეთიდგან ექიმი ატაროს სოფლებში.

მთიულეთის არც ერთს სოფელში არავითარი სასწავლებელი არ არსებობს. ამბობდნენ, რომ მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება აპირებს რამდენისამე სკოლის დაარსებასო, მაგრამ ჯერ ვერ ვეღირსენით.

*** სოფ. ახრისი, (გორის მაზრა). პირველ იანვარს აქ შემდეგი უბედურება მოხდა. ამ დღეს, ჩვეულებისამებრ, რამდენიმე ახალგაზდა კაცი ერთად შეიკრიბნენ და თავიანთ ნაცნობებს ახალ წელიწადს ულოცავდნენ. სხვათა შორის ყმაწვილები მისულან მისალოცად ილია რევაზის ძე ყანჩაველთანაც. შემდეგ ყველანი და მათ შორის ილია ყანჩაველიც იოსებ ყანჩაველს მიუპატიჟნია თავისს სახლში. მაგრამ ყანჩაველს უარი განუცხადებია და უთქვამს, მე იმ სახლში ვერ შევალ, სადაც ჩემის ხასის ედდამთილი ზისო. ბოლოს ლაპარაკში შეჰყოლიან და ხმა-მაღლა დაუწყვიათ ყვირილი. ამ დროს ილიას ხელი უკრავს და ცუდი სიტყვებით მიუმართავს იოსებისათვის, ამ უკანასკნელს აღარ მოუთმენია, ხანჯალი უძვრია და გულში ჩაუცია მოწინააღმდეგისათვის. ილია ყანჩაველი ცოტა ხანს უკან გარდაცვლილა. იოსებ ყანჩაველი სოფლის მასწავლებლად ნამყოფია და საზოგადოების სიყვარული და თანაგრძნობა აქვს დამსახურებული. პირ-იქით ილია ყანჩაველს ცუდი და მოუსვენარის კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ადგილობრივმა საზოგადოებამ განაჩენიც-კი დაადგინა ილია ყანჩაველის გადასახლების შესახებ.

*** ბორჩალოს მაზრის გამგეობა, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, დროებით მიენდო მაზრის უფროსის თანაშემწეს სემენოვს.

*** გაზ. „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით კავკასიაში გამოგზავნილ იქმნა ბეითალი რემერი.

*** მომავალ დიდ მარხვაში სახელმწიფო თეატრში წარმოდგენებს გამართავს ფრანგული საოპერეტო დასი.

*** გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით ქ. ტფილისის ტეხნიკოსი ი. ი. კაზაზნუნი თანამდებობას თავს ანებებს.

*** ბ-ნი ტფილისის პოლიცმეისტერი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 6 იანვარს, წყალ-კურთხევა დღეს, უბედურების ასაცილებლად, რევოლვერების სროლა აკრძალულია. ვინც ამ დღეს რევოლვერს გაისვრის ან თან იარაღი აღმოაჩნდება, სამართალში იქმნება მიცემული.

*** ტფილისის ქალაქის საქმეთა საკრებულო ამ დღეებში ახალ სადგომში გადავა, სახელდობრ იქ, სადაც წინად პოლიცმეისტერის კანცელარია იყო მოთავსებული.

*** ტფილისის ხელოსანთა და მოქალაქეთა გამგეობამ გაუგზავნეს ქალაქის მოურავს სია 200 მოქალაქისა, რომელთაც წყალ-კურთხევის დღეს შემწეობა უნდა აღმოუჩინონ წესიერების დაცვაში პოლიციას.

## თეატრის მატიანე

წარმოდგენა ქართული თეატრის დაფუძნების სახსოვრად

„დავა“ კომედია 5 მოქ. გ. ერისთავისა და „სამზადისი“ თხზ. პ. უმიკაშვილისა.

განსაკუთრებულის სიამოვნებით ვიღებთ კალამს ხელში, რომ გულწრფელადა ვთქვათ: „ქართული წარმოდგენა 2 იანვრისა მშვენიერი რამ იყო“-ო. ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ქართულ სცენას შეუძლიან ქართველი მაყურებელი ესტეტიურად დაატკბოს, თუ რომ ბ-ნნი მსახიობნი ეცდებიან და საქმეს მუყაითობასა და სიყვარულს მიადევნებენ და თუ მაყურებელი უკმაყოფილო მიდის თეატრიდგან, ეს იმისი ბრალი არ არის, რომ სცენის მსახურთ ნიჭი არ შესწევდეთ, არ შეეძლოთ გააპიროვნონ დრამატურგის მიერ შეთხზულნი გმირნი; არა, ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ უფროს ერთ შემთხვევაში მსახიობნი ღვთის ანაბარად აგდებენ საქმეს, თავისს მოვალეობას. გახშირონ ასეთი ხმა-შეწყობილი თამაშობა, როგორიც 2 იანვარს გვაჩვენეს, თუნდა მოძველებულის პიესებისაც-კი და ჰნახავენ, რომ ქართველ საზოგადოებას გული არა აქვს აცრუებული თეატრზედ!

რაც შეეხება ზემოხსენებულ სადღესასწაულო წარმოდგენას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წარმოდგენას მართლა სადღესასწაულო ელფერი ედვა. დიდიდგან დაწყებული პატარა მსახიობამდე ყველას ეგრძნო მნიშვნელობა დიდებულის წამის მოგონებისა და თითეულს მათგანს გრძნობით აექღერებინა თვისი ჩანგი, რასაკვირველია, შეძლების დაგვარად.

,,დავა'' ნეტარ ხსენებულის გიორგი ერისთავისა ლაზათიანად ითამაშეს. განსაკუთრებით თავი იჩინეს ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ და ბ-ნმა აბაშიძემ, კოტე მესხმა და შათირიშვილმა.

ქ-ნი ჩერქეზიშვილისა მართლა რომ ნიჭიერი არტისტი-ქალია! საკვირველი ალღო აქვს ამ არტისტ-ქალს როლის შეგნებისა და ტიპის გაპიროვნებისა. რა არის ბებიის როლი ,,დავაში''? ჩვეულებრივი მოხუცებული, რომელსაც ლექსით საუბარი ყმაწვილ ქალსა და ვაჟ შუა მომაკვდინებელ ცოდოდ მიაჩნია. ამისთანა როლებს იგი ხომ ბევრჯელ თამაშობს, მაგრამ დალოცვილი იმითია ხელოვანი, რომ ყველა ამნაირ მოხუცებულს სულ სხვა და სხვა ფერსა სდებს და მათ დახატვაში განსხვავება შეაქვს. მაგალითად, იმის მიერ ლექსის წაკითხვა ძველებურად-ჩვენებურად, არაოასოდ ჩათვლა მართლა რომ სასაცილო და ამასთანავე ზედ მისწრებული იყო!

ვინ არ იცის ბ-ნ ვასილ აბაშიძის ხელოვნური ასრულება თარჯიმნის სარქისას როლისა? ჩვენ მეტი რაღა გვეთქმის? მხოლოდ ვერ დავეთანხმებით ნიჭიერ არტისტს, რომ იმერეთის თავადის საუბრის დროს იგი მას ტანისამოს უსინჯავს ხელით, თითქოს უნდა გაიგოს არშინში რა მიუციაო. ჩვენ ეს გადაჭარბებად მიგვაჩნია, რაც სულაც არ შეეხამება მის გამოცდილებას.

ბ-ნი კოტე მესხი ჩინებული თავადი იყო იმერეთისა; ზომიერად, ხან მკვირცხლად, ხან გაბრტყელებით მისი საუბარი გვაგონებდა უწინდებურ დარბაისელს იმერის შვილს, რომელიც გაოცებით მოუყვება მეგობარს საკვირველებას ქვეყნის ცვალებადობისას. განსაკუთრებით მისი გამოსვლა და სალამის მირთმევა იყო შესანიშნავი; ეს ძველებური ჩვეულება საღამოს დასწრებისა მართლა რომ ხელოვანად აღნიშნა.

ბ-ნი შათირიშვილიც საუცხოვო რამ იყო; სიცოცხლე და სიხალისე იმ ზომამდე შეაზერა თავისს როლს, ისე თავისუფლად მიმოიხვროდა, მიხტი-მოხტდა, რომ ყოველი მისი გამოსვლა სცენაზედ საზოგადოებაში სასიამოვნო მოძრაობას გამოიწვევდა ხოლმე.

დანარჩენებიც ყოველ მხრივ ხელს უწყობდნენ ზემო დასახელებულთა ფრთა შესხმულ თამაშობასა.

„სამზადისი“ მხოლოდ ერთი სურათია მრავალ-მნიშვნელოვანის წარსულისა, როდესაც ეს ეს არის სასცენო საქმე იბადება ქართველთა შორის. აკვანი ამა ახლად შობილისა, რასაკვირველია, არის დვრიტა ჩვენის თეატრისა—გ. ერისთავი. რაღა თქმა უნდა, ბ-ნ უმიკაშვილის ნაწარმოებში არავინ ეძებს არც კვანძსა დრამატიულ ინტრიგისას, არც ამ კვანძის გახსნას, არც ტიპების დახასიეთებას; იგია საგულისხმიერო რა როგორც ნაწარმოები ხელოვნებისა, არამედ როგორც მაჩვენებელი იმ დროის მოღვაწეთა ფოტოგრაფიულ სურათებისა. რამდენად შესაფერად არიან დახატულნი ეს მოღვაწენი, ჩვენ ვერას ვიტყვით, რადგანაც არა გვაქვს ხელად მათი ზედ მიწევნით ბიოგრაფიები. მხოლოდ ინტერესი-კი ძლიერ ეღვიძება მაყურებელს, როდესაც სცენაზედ ჰხედავს უკვდავ გმირთ ჩვენის ცხოვრებისას. საზოგადოება გულის ფანცქალით, გაორკეცებულის ყურთა სმენით ისმენს მათ საუბარს, კამათსა და ელის რომელსამე არა ჩვეულებრივ სიტყვასა, რომლის შესახებ შეიძლება გადაჭრით ითქვას: „აი, ამ აზრს „იმის“ მეტი სხვა ვერავინ იტყოდაო“. მსახიობთა შორის ყველაზედ მიგვანებული ბ-ნ კანდელაკი (პ. იოსელიანი) და ბ-ნი კოტე მესხი (გ. ერისთავი) იყვნენ. ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო თვალისათვის აგრეთვე ბ-ნი სვიმონიძე თ. ილია ორბელიანის როლში. ჩვენ გვგონია მხოლოდ, რომ ცოტა ტანისამოსი შესაფერი არ ეცვათ თითქმის ყველას.

წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დაესწრო და ტაშის კვრა და ვაშას ძახილი მეტად გახშირებული იყო.

ინ-ენ

## უცხოეთი

კრიტი. როგორც განედგან იუწყებიან, იქ თექვსმეტ კაცისაგან შემდგარი კამისია აურჩევიათ, რომელსაც დავალებული აქვს კონსტიტუციის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტის შემუშავება. ეს პროექტი წარმოდგენაა განსახილველად კრიტის ეროვნულს კრებას, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში მოწოდებულ იქმნება.

—

**ინგლისი.** პარლამენტის კრებები ჩქარა უნდა გაიხსნას ინგლისში და ამისთვის ლიბერალურ დასის მოთავის არჩევა უილიამ გარკურტის ნაცვლად ერთს უმთავრესს საგანს შეადგენს ხსენებულ დასისას. უმთავრეს კანდიდატებად ასახელებენ კემბელ ბანერმანს, სამხედრო მინისტრად ნამყოფს და ასკვიტს, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრად იყო იმავე დროს. ამბობენ, რომ უთუოდ პირველი გახდება ლიბერალთა ხელმძღვანელი, თუ-კი თითონ მოისურვა. უილიამ გარკურტი ახლა კვირაობით ამბობს იმის შესახებ, თუ რა გზას უნდა დაადგეს ლიბერალთა დასი, რადგან არ უნდა თავისის სიტყვით ხელ-ფეხი შეუკრას დასის მომავალ ხელმძღვანელთ.

—

**საფრანგეთი და ინგლისი.** როგორც ვიცით, ამ ორ სახელმწიფოს კიდევ მოუხდათ ერთმანეთთან უსიამოვნება მადაგასკარის საქმეების გამო. უსიამოვნებას ჯერ კიდევ ნოემბერში ჩამოვარდა და მას შემდეგ დიპლომატიურ წრეებისა და გაზეთების უმთავრეს საღაპარაკო საგანს შეადგენს იგი. უმთავრესი მიზეზი განხეთქილებისა ის არის, რომ საფრანგეთის მთავრობას დიდი ბაჟი დაუწესებია ინდოეთიდგან მოტანილ საქონელზედ და ამასთანავე ინდოეთიდგან საომარ იარაღის მოტანა აღუკრძალავს მადაგასკარის მეამბოხეებისათვის.

—

**ამერიკა და ინგლისი.** გაზეთების სიტყვით, ამერიკის ახალ ელჩის, ჩოატის, უმთავრეს სამზრუნველო საგანს ლონდონში ის შეადგენს, რომ შეერთებულ შტატების ფლოტის დასახვედრად ნიადაგი მოამზადოს ინგლისში. ორთავე ქვეყნის მთავრობას უკვე მოულაპარაკნიათ ერთმანეთთან ამ საგნის შესახებ და გარდაუწყვეტიათ, ამერიკის ფლოტი უთუოდ ეწვიოს ინგლისს. როგორც ამბობენ, ეს ფლოტი ესწვევა ინგლისის დედოფლის ვიქტორიის შოტლანდიაში მოგზაურობის შემდეგ მომავალ გაზაფხულზედ. ჰფიქრობენ, რომ დედოფალი უთუოდ მოისურვებს, ამერიკის ფლოტის ინგლისში მისვლის დღე რამე სამგალითო საქმით აღნიშნოსო.

—

**ფილიპინები.** 24 დეკემბერს ვაშინგტონში გამოქვეყნებულ იქმნა იმ ინსტრუქციის შინაარსი, რომელიც მაკ-კინლეის გაუგზავნია მანილაში გენერალ ოტისისთვის. ინსტრუქციაში პირველად მოხსენებულია, რომ მთელს ფილიპინებში დაარსებულ იქმნება ამერიკის დროებითი სამხედრო მმართველობაო. გენერალს ოტისს ნაბრძანები აქვს, გააგებინოს ადგილობრივ მკვიდრთ, რომ უფლება და საკუთრება ყველა მცხოვრებისა ხატივცემულ იქმნება. შემდეგ ნათქვამია, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ამერიკა თავისის სახელის დასაცველად მალასაც მიჰმართავსო. გენერალმა ოტისმა ფილიპინების ყველა ნავთ-სადგური ყველა ერის სავაჭრო გემებს უნდა გაუღოს, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ ამ უკანასკნელებმა ბაჟი იხადონ ამერიკელების სასარგებლოდ და სხ.

ოტისმა, როგორც-კი ეს ბრძანება მიიღო, მაშინვე ჯარი და ფლოტი გაჰგზავნა ვიზაის კუნძულებზედ. ფილიპინელებმა გარდასწყვიტეს, არამც და არამც არ გადმოუშვან ამერიკელები ილო ილოში და, საჭიროება თუ მოითხოვს, სტრატეგიულის მოსაზრებით, კიდევაც დაანგრიონ ეს ქალაქი. ამ რიგად ფილიპინელებსა და ამერიკის მთავრობას შორის სრული განხეთქილება ჩამოვარდა. ფილიპინელები აცხადებენ, რომ სულით და გულით ვსწუხვართ ამისთვის, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის, ამერიკის მთავრობამ იძულებულ გვყო მეგობრული კავშირი შეგვეწყვიტა ამერიკის ერთან და ბრძოლა გამოგვეცხადებინაო.

აგვინალდო წინანდებურად სული და გული ფილიპინელებისა. უმისოდ არავითარი, ცოტად თუ ბევრად, საყურადღებო საქმე არ კეთდება იქ. გაზეთების ფიქრით, საქმე ძლიერ გასაჭირს მდგომარეობაშია: ამერიკელებმა ან თავი უნდა დაანებონ ფილიპინების შეერთებას, და ანუ ხანგრძლივი სისხლის ღვრა უნდა მოხდეს.

## დამაკვირდი

რაც უნდა გუნდრუკი უკმიონ დიდებას, თუ ამ გუნდრუკის მკმეველთა კრებულს თქვენის საკუთარის სინდისის ხმა არ უერთდება, დიდება იგი უბრალო ბგერაა და სხვა არა-რა.

ბაირონი

* * *

სიღარიბეცა ვიხილე და აწ ზომისაებრ ჩემისა სიმდიდრე და დიდება და ესეცა ამაოება არს.

მიტროპოლიტი იონა

* * *

ესე ვითარი იყავ მეგობართათვის, ვითარ შენ მათი გენებოს შენთვის ყოფაჲ.

ნიკოლოოზ ტფილელი

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „Вліяніе маляріи на колонизацію кавказа“ — მკურნალის ი. ი. პანტიუხოვისა, გამოცემული გაზ. „კავკას“-ის რედაქციის მიერ. ეს წერილი წინად გაზეთ „კავკას“-ში იყო დაბეჭდილი. წიგნი შეიცავს 66 გვერდს და ღირს 30 კაპ.

## გამოსადეგი ცნობა

ბორდოს სითხეს, რომელიც მცენარის სხვა-და სხვა სენის წინააღმდეგ იხმარება, რომ მიუმატოთ ეგრედ წოდებული парижская зелень (იყიდება აფთიაქის მაღაზიებში), მაშინ იგივე სითხე გამოსადეგი იქმნება მავნე მწერების წინააღმდეგ საბრძოლველადაც. ყოველს 60—65 ვედრო ბორდოს სითხეში უნდა გაიხსნას თითო გირვანქა парижская зелень-ი. ეს საშუალება მეტად მომწამვლელია და მწველი, ამიტომ ამ საშუალების ხმარების დროს ფრთხილად უნდა იყვნეთ, რომ სითხე თვალებსა ან პირში არ მოგხვდეთ. ესევე საშუალება ცალკეც შეიძლება მომზადდეს, იმავე რაოდენობა წყალში, თუ მარტო მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად იხმარება.

# დეპეშა

1 იანვარი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დამტკიცებულ იქმნას ამ თანამდებობაში 1899 წლისათვის.

გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება არტილერიის გენერალის რეზვის სახელობაზედ, რომელსაც ებოძა გულზე სატარებლად ალმასებით შემკული სურათები იმპერატორების, ალექსანდრე პირველისა, ნიკოლოზ პირველისა, ალექსანდრე მეორისა, ალექსანდრე მესამისა და ნიკოლოზ მეორისა.

უმაღლესად ებოძათ: გენერალ-ადიუტანტს სტიულერს ორდენი წმ. ვლადიმერისა 1 ხარისხისა; სახელმწიფო საბჭოს წევრს სელიფონტოვს ორდენი წმ. ვლადიმერისა 1 ხარისხისა; სახელმწიფო საბჭოს წევრს გრაფს ბობრინსკის ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა ბრილიანტებით; სახელმწიფოს საბჭოს წევრს სიმონ მარდვინოვს ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა ბრილიანტებით; სასახლის მინისტრს ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

უმაღლესი ბრძანება: ფინანსთა მინისტრს ვიტტეს ებოძა დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა; გზათა მინისტრს თავ. ხილკოვს ებოძა დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა; ბარონი იკსკულ ფონ-გილდენბანდტი დანიშნულ იქმნა მიწად-მოქმედების მინისტრის თანაშემწედ (ნარიშკინის მაგიერად, რომელიც დანიშნულ იქმნა სენატორად); იუსტიციის მინისტრს მურავიევს ებოძა ორდენი თეთრის არწივისა; სახელმწიფო მდივანს პლევეს ებოძა დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა.

ხელმწიფე იმპერატორმა განსაკუთრებულ ყურადღების ნიშნად ნება უბოძა სამსახურს გარეშე მყოფ გენერლებს ატარონ პაგონები სიგანეზე-კი არა, როგორც აქამდე იყო, არამედ სიგძეზე და ისეთისავე სიგძისა და სიგანისა, როგორსაც ატარებენ დამსახურებული გენერლები, სამსახურში მყოფნი და სათადარიგო ჯარში ჩათვლილნი.

უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინანსთა მინისტრისა 1899 წლის სახელმწიფო სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შესახებ: სახელმწიფო შემოსავალი: ჩვეულებრივი—1.469.128,203, არა ჩვეულებრივი 4.000.000, სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ თანხიდგან—98.604.443, სულ 1.571.732,646. სახელმწიფო გასავალი: ჩვეულებრივი—1.462.659,233, არა ჩვეულებრივი — 109.073,413, სულ 1,571.732,646. ამ გვარად ჩვეულებრივი შემოსავალი სჭარბობს ჩვეულებრივს გასავალს 6.468,970 მანეთით.

1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვასთან შედარებით 1899 წელს ვარაუდით ჩვეულებრივი შემოსავალი უნდა იყოს მეტი 104.669,986 მანეთით, ჩვეულებრივი გასავალი მეტი 113.574.020 მანეთით. მომეტებულ შემოსავლის მოლოდინი არის უმთავრესად სადამოვნო გარდასახადისაგან—27,3 მილ. სახელმწიფო რკინის გზებიდგან—20,3 მილ., სასმელების ბაჟისაგან—10,4 მილ., ვაჭრობის გარდასახადისაგან, რომელიც გაიწერება 1899 წლიდგან ნაცვლად უწინდელის გარდასახადისა 8,8 მილ., შაქრის აქციზი—7 მილ., სახელმწიფო ტყეებიდგან—5,4. 1898 წელთან შედარებით არა-ჩვეულებრივ გასავალი ნაკლებია 14.891,287 მანეთით. 1899 წლის არა-ჩვეულებრივი გასავალი ასეა განაწილებული: ციმბირის რკინის გზისათვის 30.860.606 მანეთი, სხვა რკინის გზებზე—24,777,782 მან., კიდევ რკინის გზებისათვის—46,864,525, ვადაზე ადრე ფულის გადასახდელად ზოგიერთ რკინის გზების ობლიგაციებით—6,570,500 მან. ფინანსთა მინისტრის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ოქროს ფულის ვალიუტის შემოღება საკეთილო გამოდგაო. შარშანდელთან ოქრომ იმატა 121 მილიონით. სრულიად უსაფუძვლო გამოდგა ის შიში, ვითომ რუსეთის ოქრო საზღვარ-გარედ მიდისო.

**ბერლინი.** იმპერატორის ფრანც-იოსების რაზმის 50 წლის შეფობისა გამო ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებმა ერთმანეთს მეგობრული დეპეშები გაუგზავნეს.

**პარიჟი.** „Echo de Paris“-ში ბორეპერი სწერს, რომ საჭიროა ახალი გამოძიება მოხდეს, რომელიც უნდა გარდაეცეს სამოსამართლო პალატას, რათა, თუ დამნაშავე მოსამართლენი აღმოჩნდნენ, შესაძლებელი იქმნას იმათი დათხოვნა და ამ გვარად სამოსამართლო წესდებას დაუბრუნდეს ის სახელი, რომელიც საუკუნოებით ჰქონია. ბორეპერი თხოულობს, რომ საქმე სხვა კაცებს გადაეცეს განსახილველად და საკასაციო სასამართლოს ყველა პალატები უნდა შეერთდნენ და გაიცნონ საქმის ვითარება. დასასრულ ბორეპერი აცხადებს, ძლიერა ვსწუხვარ, რომ ჯარის მოწინააღმდეგე ზოგიერთმა მოსამართლემ თავი დაიმცირა. შემდეგ დიდის აღტაცებით ლაპარაკობს იმ ოფიცერთა შესახებ, რომელნიც მზად არიან თავი შესწირონ სამშობლოსათ და თან დასძენს: „რომ შემეძლოს ხელი შევუწყო მათ შეურაცხმყოფელთა გადასახდელად, არ შევწუხდებოდი იმის გამო, რომ ჩემი დამოუკიდებლობა ძვირად დამიჯდებოდა.“.

**პარიჟი.** კაბინეტის თათბირი მოხდა: განიხილეს ის მუხლები, რომელთა შესახებ ბჭობა იქმნება. ლებრემ გადასწყვიტა გამოძიება მოხდეს იმ ამბების შესახებ, რომლებიც ბორეპერმა აღნიშნა. საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე მაზო დამატებით გამოძიებაზე თავმჯდომარედ იქმნება.

**ვაშინგტონი.** სენეტი. ფორაკერმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახვა აქვთ იმ დრომდე ხელთ ეპყრათ ფილიპინები, ვიდრე მცხოვრებნი თითონ არ შესძლებენ თავიანთ მმართველ-გამგეობას. თუმცა შეერთებულ შტატებს სრული უფლება აქვთ ფილიპინები სამუდამოდ დაინარჩუნონ, მაგრამ არც მაკ-კინლეი და არც კაბინეტის სხვა წევრთ ეს არა ჰსურთ. ამ საკითხზე, რატომ არ შეიძლება ფილიპინებს ისევე მოექცნენ, როგორც კუბას,—ფორაკერმა სთქვა, რომ კუბის შესახებ საქმე იყო მხოლოდ შეერთებულ შტატებისა და ესპანიაზე; რაც შეეხება ფილიპინებს, აქ უფრო რთული საქმეა, რომლის შესახებ განმარტება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სენატის საიდუმლო კრებაზე.

**ბერლინი.** იმპერატორმა ბერლინის სასახლეში ინახულა თავადი ჰერბერტ ბისმარკი.

**კალკუტა.** რამდენიმე კაცი გახდა ავად შავის ჭირით. ეს ამბავი შეატყობინეს ინდოეთის სტატს სეკრეტარსა და უცხო სახელმწიფოთ.

**ვენა.** გარდაიცვალა მიწად-მოქმედების მინისტრად ნამყოფი ფალკენჰაინი.

**პარიჟი.** ლუბე კვლავ არჩეულ იქმნა სენატის პრეზიდენტად 210 ხმით. დეპუტატთა პალატაში კვლავ ბჭობაა იმ ამბის შესახებ, რომელიც ბორეპერმა აღმოაჩინა. დიდი აღელვებაა. ნაციონალისტი მილვუა საქმის გამოძიებას თხოულობს.

**ბერლინი.** ჰერბერტ ბისმარკმა გადასცა იმპერატორს ორდენების ნიშნები თავადის ბისმარკისა.

რეიხსტაგი. სამხედრო მინისტრმა გოსლერმა აღნიშნა სამხედრო კანონ-პროექტის საბუთები. ეხლა განზრახვა აღარა აქვთ ჯარის უეცრად გაძლიერებისა, არამედ თანდათან უნდა განაძლიერონ ჯარი. ამ წესის შეცვლისათვის სხვა საბუთებთა შორის არის რუსეთის იმპერატორის მანიფესტი, რომელიც თავმდებია იმისი, რომ ამ მხრივ დიდის ხნობით გერმანიას შიში არ ექმნება. სამხედრო მინისტრმა სთქვა, რომ საჭიროა მოსპობა ეხლანდელის შეიარაღებისა-კი არა, არამედ ხალხთა სულის კვეთისა და შფოთვისა. შემდეგ სამხედრო მინისტრმა სთქვა რუსეთის იმპერატორის მანიფესტის გამო: „მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ თვით უძლიერესს მონარქების ნებას არ ძალ-უძს შესცვალოს ცხოვრების პირობანი და მოთხოვნილებანი დიდ ერთა. თუ ერს სწადიან დამოუკიდებელი იყოს, ძალ-ღონეც უნდა ჰქონდეს მტრის მოგერებისათვის. თუ ერს არ შეუძლიან შეიმაგროს თვისი ძალა იმ სიმაღლეზე, რომელიც იმისს სიდიადესა და სიძლიერეს შეეფერება, მაშინ იგი უარ-ჰყოფს ამ სიძლიერესა და ძირს ეშვება იმ სიმაღლიდგან, რომელზედაც იყო მოწოდებული“.

**მასსოვა.** იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც მოხსენებული იყო, მაკონენმა და მანგაშამ ზავი შეჰკრეს. მანგაშამ განაახლა თვისი ფიცი ერთგულებისა, ადდის-აბებში განაცხადებს თავისს უქვეშევრდომილესს გრძნობას, გადიხდის ხარკს და ნებას მისცემს ლტოლვილ სარდლებს ტიგრეში დაბრუნდნენ. მტკიცდება ის ამბავი, რომ მენელიკი ძლიერ საჩქაროდ დაბრუნდა შოას.

**პარიჟი.** ანტისემიტი ლაზი ჰკიცხავს საკასაციო პალატას და ამბობს, დრეიფუსის სასარგებლოდ აგიტაციის ხელს უმართავენ უცხოელთა ფულითაო. (უკმაყოფილება და ხმაურობაა). ლებრე ამბობს, გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ის ნიშნები პატივისცემისა პიკარისადმი, რომელთა გამო ჰკიცხავენ საკასაციო პალატის წევრებს, სხვა მოწმეებსაც არ აკლდათო. მაზო შეუდგა ბორეპერის მიერ მოხსენებულ გარემოებათა გამოძიებას (ტაშის ცემა).

**კონსტანტინეპოლი.** იმ იარაღის გარდა, რომლითაც ნაბრძანებია შეძენა თოფის წამლის 30 ათასი შრაპნელისა, გამოცხადდა კიდევ მე-

ორე ირადე, რომლითაც ნაბრძანებია შეძენა 162 ზარბაზნისა დასაარსებლად 27 ბატარეისა. გარდა ამისა გარდაწყვეტილია შეისყიდონ ტყვია-წამალი და რამდენიმე ათასი ჩქარი სასროლი თოფი.

**კანეა.** ბატონიშვილმა გიორგიმ მიჰმართა კანდიაში მყოფ გამოქცეულთ და ურჩია ან თავიანთ ადგილებში დაბრუნდნენ, ან კუნძული მიატოვონ. დანიშნულ იქმნა კომისია, რომელსაც მიენდო გემების გადაკეთების საქმე.

**პარიჟი.** კავენიაკის სიტყვის შემდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქმე ეხლანდელის ვითარების ბრალი რესპუბლიკას ედებაო, დიუპუიმ აღნიშნა თვისი ზრუნვა ჯარისადმი და კანონის-პატივისცემა. „დაიწყო მესამე გამოძიება. დრო არის ბოლო მოვუღოთ დრეიფუსის საქმეს და ქვეყანას კვლავ მშვიდობიანობა დავუბრუნოთ“. (ტაშის ცემა).

**მასსოვა.** მანგაშასა და მაკონენის შორის შეკრული ზავი უკვე მოისპო, რადგანაც მაკონენმა ითხოვა, მანგაშა და მისი მომხრე სებატი ჩემთან ერთად უნდა წამოვიდნენ ამბალაჯამდეო, ხოლო ესენი დასთანხმდნენ მარტო ჩვენს მოადგილეთ გამოვგზავნითო. ჰფიქრობენ, რომ კიდევ მოხდება ბრძოლა.

2 იანვარი.

**პეტერბურგი.** 1 იანვარს საზამთრო სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი, დიდნი მთავრინანი, ჰერცოგი ლეიჰტენბერგისა, პრინცნი ოლდენბურგელნი, ჰერცოგნი მეკლენბურ-სტრელიცკნი და პრინცი ლუი ნაპოლეონი. შემდეგ საკონცერტო დარბაზში მიღებულ იქმნენ უცხოელთა ელჩნი, დესპანნი და სადიპლომატიო კორპუსის წევრნი. ნაშუადღევის 1 საათზე ხელმწიფე იმპერატორი თავისს ოთახებში შებძანდა.

**პარიჟი.** პალატამ, 423 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 125 ხმისა, შეიწყნარა ის ფორმულა მორიგ საქმეთა განხილვის დაწყების შესახებ, რომელსაც მთავრობა დაადგა.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. სოციალისტი ბებელი ამბობს: „ევროპის ერნი დიდად არიან მოწადინებულნი მშვიდობიანობას, ამიტომ დიდი სიბრძნე არ არის საჭირო მშვიდობიანობის დაცვისათვის“.

ბებელი წინაალმდეგია პროექტისა. ცენტრის დასის წევრი გეტლინგი ამბობს, ჩემის დასის შეხედულება პროექტზე დამოკიდებულია მაგ პროექტის უფრო ახლო გაცნობაზეო. ნაციონალ-ლიბერალი ზატლერი ამბობს, ჩემს დასსა ჰსურს, რომ შეწყნარებულ იქმნას პროექტის უმეტესი ნაწილიო. ანტისემიტებსა და თავისუფალ მოაზრე დასების წარმომადგენელთ ჰსურთ მოუცადონ პროექტში მოხსენებულ საშუალება საჭიროების დამტკიცებას.

**ნიუ იორკი.** ფილიპინელები დაესხნენ ილო ილოს იმ მხრიდგან, სადაც მდინარე ზღვას ერთვის. ამერიკელებს უნდოდათ ნაპირზე გამოსულიყვნენ, მაგრამ იძულებულ იქმნენ უკუ-ქცეულიყვნენ.

**მასსოვა.** 30 დეკემბერს, დიდის ნისლის დროს, მაკონენს უნდოდა თავს დასცემოდა მანგაშის, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნა. მაკონენი ძლიერ დაზიანდა. მანგაშის ჯარი მიეშველა, მაგრამ იმდენი-კი არა, რომ გაებედნა ციხე-სიმაგრეების იქით ბრძოლა დაეწყო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს ფრეისინემ მოახსენა, რომ გამოძიებას შევუდგებით, რათა გამოაშკარავდეს, როგორ მოხდა, რომ კაპიტანის ერნის მოხსენება შესახებ საკასაციო პალატის წევრთა დამოკიდებულებისა პიკართან უცხო კაცთა ხელში გაჩნდა.

**მადრიდი.** საგასტას განზრახვა აქვს მოუწოდოს კორტესებს 25-სა და 30 იანვარს. მანილიიდგან იუწყებიან, რომ ამერიკის ჯარი, რომელსაც ილო-ილოში ებძანა წასვლა, აჯანყდა, ჯარმა წასვლაზე უარი განაცხადა, გენერალს მილლერს ებძანა წავიდეს ილო-ილოდგან და დაბრუნდეს მანილიაში. ამერიკის ყველა ჯარს ებძანა მანილიაში მოიყარონ თავი. საქმეთა ვითარება მეტად გამწვავებულია.

**პარიჟი.** გავასის სააგენტო სწერს: „საპოლიტიკო წრეებში ამბობენ, რომ კამბონსა და სოლსბერის ოთხშაბათს პირველი ოფიციალური ბჭობა ექმნებათ საფრანგეთსა და ინგლისის შორის სადავო ადგილების შესახებ. ჰფიქრობენ, რომ ეს ბჭობა ხელს მოუმართავს მშვიდობიანობასაო“.

**პეტერბურგი.** მე 68 ტირაჟი პირველის სესხისა ორასი ათასი მანათი—4760/19; სამოცდა თხუთმეტი ათასი მან.—5885/24; ორმოცი ათასი მან.—16420/20, ოც და ხუთი ათასი მან.—2055/42, ათი ათასი მან—6925/43; 13723/4; 11781/22; რვა ათასი მ.—9222/42, 8236/17, 1534/40, 4918/16, 18505/39; ხუთი ათასი მან: 7578/4, 18003/47, 3397/43, 494/46, 6455/32, 6586/22, 10368/19, 17325/38; ათასი მან. 750/3, 11199/34, 4791/48, 13917/38, 562/11, 12778/27, 3193/7, 1547/48, 3839/12, 13364/45, 4674/6, 16440/24, 2285/16, 17667/28, 17396/34, 8519/19, 3880/50, 2981/18, 5216/13, 8675/46.

2 იანვარი

**ნიუიორკი.** გარდაიცვალა დინგლეი, ავტორი სადამოჟნო ბაჟისა, რომელიც მისსავე სახელს ატარებდა.

**ლონდონი.** ხუთშაბათს ინგლისში მრავალს ადგილას უძლიერესი ქარიშხალი ამოვარდა. ძლიერი ქარბუქი და სეტყვა იყო ლონდონში. თითქმის ყოველ გვარი მიმოსვლა შეწყდა. ქვეყნის შიდა ადგილებიდგან ცნობები მოდის, მომეტებულ ნაწილად, რკინის გზებით. იუწყებიან, რომ მრავალი ადამიანი დაიღუპა და დიდი ზარალი მოხდაო. პარასკევს სადამომდე ევროპის მატერიკიდგან ცნობები არ მოსულა. მთელს ნაპირზედ გემები და ხალხი იღუპებოდა. ლენფერვეხენთან (ვალისის სამთავროში) რკინის გზის მატარებელი ჩავარდა ზღვაში, რადგან რელსებისთვის წყალს ძირი გამოეთხარა; მემანქანე და ერთი მუშა დაიხრჩნენ. მანჩესტერში ჩამონგრეულმა მილმა ხუთი კაცი მოიყოლა ქვეშ და მოჰკლა.

**კოპენჰაგენი.** ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, საქმის მომხსენებელი კრისტოპერ გაგე შეეკითხა მთავრობას ჩრდილოეთ შლეზვიგიდგან, დანიელების გარეკისა და უცხოქვეყნებთან დანიის დამოკიდებულების შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვსო. „შლეზვიგიდგან ხალხის გამორეკვამაო, სთქვა მინისტრმა, თითოეულს ჩვენგანზედ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენი მთავრობა შეეკითხა გერმანიის მთავრობას—გერმანია კიდევ ჰფიქრობს ჩრდილო შლეზვიგიდგან იმ დანიელების გაძევებას, რომელნიც 1864 წლის მშვიდობიან ხელ-შეკრულობის ძალით დანიის ქვეშევრდომობა მიიღეს. ამ შეკითხვის შემდეგ არც ერთი დანიელი არ გამოუძევებიათ, რომელთაც დანიის ქვეშევრდომობა მიიღესო“. მინისტრს იმედი აქვს, დანარჩენ დანიელების გაძევებაც შესწყდება, რადგან კეთილ-განწყობილება ორივე მხრისათვის საუკეთესო მდგომარეობაა.

**ასხაბადი.** „Закасп. Обозр.“ იუწყება, რომ ოლქის უფროსის განკარგულებით 1 მაისიდგან აღარ მიიღება სპარსეთში და ადგილობრივ მოჭრილი ფული კრანიო.

**მოსკოვი.** დღეს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობაში კრება უნდა გაიმართოს სასოფლო-სამეურნეო განათლების მოღვაწეთა. კრებაზედ მოწვეულნი არიან დირექტორები და მასწავლებლები საშუალო სასწავლებლებისა, მზრუნველები, გამგეები და მასწავლებლები დაბალ სასწავლებლებისა. კრების თავჯდომარედ დანიშნულია ი. ა. სტებუტი.

3 იანვარი.

**პეტერბურგი.** 2 იანვარს ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული უავგუსტოეს ყრმებით გატჩინოდგან პეტერბურგს მობრძანდა, ანიჩკოვის სასახლეში.

2 იანვარს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება იკისროს შეფობა ურალის ყაზახთა ლეიბ-გვარდიის ჯარისა.

**ლონდონი.** როგორც ისმის, ადმირალტეისტვოს შეუკვეთნია ოთხი კრეისერი პირველის ხარისხისა, ორის ნაცვლად, როგორც წინაზედ ჰფიქრობდნენ, და ოთხი საომარი გემი.

**პარიჟი.** ესტერგაზიმ წერილი გაუგზავნა საკასაციო სასამართლოს თავჯდომარეს, რომელშიაც ამტკიცებს, რომ 1894 წელს, ზანდგერის ბრძანებით, რომელიც მაშინ საიდუმლო ბიუროს უფროსი იყო, მე დავუახლოვდი ერთს უცხო ქვეყნის აგენტს და აღმოვაჩინე დამნაშავე სამხედრო სამინისტროდგან ქაღალდების დაკარგვისა. ესტერგაზი აცხადებს, რომ მე მუდამ ჩემის უფროსების თანხმობით ვმოქმედობდიო, რომლებმაც მიმატოვეს 1898 წლის 1 ივლისიდგანო; პიკარმა შეთქმულობა მოახდინა ჩემ წინააღმდეგო; ამასთანავე იგი ამტკიცებს, რომ დასამტკიცებელი საბუთები მაქვს ჩემის სიტყვებისაო.

4 იანვარი

**სახალინი.** კანტროლის მოხელეს ტუგანოვს ქუჩაში თავს დაეცა კატორღაში ნამუშევართაგანი კუზნეცოვი და დანით 8 ჭრილობა მისცა. ჭრილობა საშიშია. დამნაშავე შეპყრობილ იქმნა.

**ქრისტიანია.** სტორტინგში წინადადება შეტანილი 50,000 კრონის გადადების შესახებ კონფერენციისათვის, რომელიც წლეულს უნდა შესდგეს ქრისტიანიაში პარლამენტს გარეშე კავშირის მიერ მშვიდობიანობისა და მედიატორულ სამართლისა.

**სტოკჰოლმი.** მეფე ოსკარი ავად გახდა ყელის მსუბუქად ანთებით და ინფლუენციით. საზოგადო მდგომარეობა მისი საშიშს არას წარმოადგენს.

**პარიჟი.** პრეზიდენტი მაზო შეუდგა ახლად გამოძიებას ბორეპერის მიერ გამოწვეულის საქმისა.

მთავრობამ ნება დართო ესტერგაზის პარიჟში მოვიდეს საკასაციო სასამართლოსთვის ჩვენების მისაცემად.

**მადრიდი.** მთავრობა სთხოვს პარლამენტს ნება-რთვას მარიანისა, კაროლინისა და პახაუს კუნძულის გასყიდვის შესახებ.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

გასულს ღვინობისთვეს ახალციხის ქართულს სამკითხველოს მღვდელმა ვასილ ხიდაშელმა შემოსწირა: 1) „მოამბე“ 1894—1897 წლებისა; 2) „ნობათი“, ყველა ნომერი; 3) თხზულებანი ა. ყაზბეგისა, 4 ტომი, აკაკისა, 2 ტომი, ა. ფურცელაძისა, 8 წიგნი; 4) „მხამეტყველება“, 5) „კალმასობა“, 6) „საქართველოს ისტორია“, 7) ქართული გრამატიკა პ. იოსელიანისა, 8) 30 სხვა და სხვა ქართული წიგნი და 9) რუსული წიგნი 8 ცალი. სულ 104 წიგნი, 50 მანეთზედ ცოტა მეტად ღირებული.

გიორგობისთვის 29 ახალციხის ქართულის სამკითხველოს სასარგებლოდ სცენის მოყვარეებმა გამართეს ქართული წარმოდგენა. ბილეთები გაიყიდა 100 მ. 50 კაპ. აქედგან დაიხარჯა: სახლის ქირა—10 მ., მარკები—9 მ. 95 კ., მეზურნეებს—4 მან., პარიკმახერს—3 მანეთი, ბილეთების და აფიშების დაბეჭდვა—2 მ. 25 კ. და სხვა და სხვა ხარჯი 5 მან. 86 კ. სულ დაიხარჯა 35 მან. 6 კ. დარჩა სამკითხველოს 65 მ. 44 კ.

სამკითხველოს სამზრუნველო უღრმესადესს მადლობას უძღვნის როგორც მამა ვასილი ხიდაშელს წიგნების შემოწირვისათვის, ისე წარმოდგენის გამმართველთ და მონაწილეთ.

სამზრუნველოს თავმჯდომარე კონსტანცია მეფისაშვილი

---


## განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 მან.
— „ რუსული „ 3 მან.
— „ ორივე გამოცემა 5 მან.
6 თვით „მწყემსი“ 2 მან.
— „ რუსული „ 2 მან.
— „ ორივე გამოცემა 3 მან.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ქვირილაში, აგრეთვე ტფილისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გოგოლ მაჭაროვთან; სამტრედიაში—ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ტფილისში ხანანაშვილების სახლებში და ქვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად **ხახულის ღვთისმშობლის** ფოტოგრაფიული **ნახატი** და ჩვენ. მოღვაწის ბატონის

**„აკაკის სურათი“,**

ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.

ზემო აღნიშნულ საჩუქრებს ხელის მომწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისათანავე.

---

Поступила въ продажу въ книжныхъ магазинахъ новая брошюра

**Д-РА И. И. ПАНТЮХОВА**

**Вліяніе маляріи на колонизацію Кавказа.** Съ картой распространенія маляріи. Т. 1899 г. цѣна 30 к.

(3—5.—1)

---

Открыта подписка на 1899 г. на еженедѣльный иллюстрированный журналъ

**ВОКРУГЪ СВѢТА**

15-й годъ изданія

50 иллюстрированныхъ №№ въ годъ. Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр. Кромѣ того, БЕЗПЛАТНО СЕРВАНТЕСА

**„ДОНЪ-КИХОТЪ“,**

въ двухъ томахъ, и собраніе сочиненій

**ГУСТАВА ЭМАРА,**

10 ТОМОВЪ! лучшихъ романовъ: 1. Арканзасскіе трапперы. — 2. Пограничные бродяги. — 3. Чистое сердце. — 4. Вольные стрѣлки. — 5. Гамбузиносы. — 6. Сакраменто. — 7. Масъ-Горка. — 8. Розасъ. — 9. и 10. Красивая рѣка.

2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ: Проф. И. К. Айвазовскаго „Буря у береговъ Крыма“. Проф. Лагоріо „Севастополь, открытый рейдъ“.

— ПОДПИСНАЯ ЦѢНА —

НА ГОДЪ: безъ картинъ 4 Р. съ двумя картинами 5 Р. съ доставкою и пересылкою.

Адресъ редакціи: Москва, Ильинскія вор., д. Титова.

(5—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 4 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.